პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 8 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

4 (999)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მომავალ სადივიზიო პარტკონფერენციებისათვის.

ამ ახლო მომავალში გაიხსნება ჩვენი ორივე ქართული დივიზიების სადივიზიო პარტ-კონფერენციები. წითელი ჯარის მუშაობაში, მთელ მის აღმშენებლობაში სადივიზიო პარტ-კონფერენციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. სადივიზიო პარტკონფერენციების სახით ჩვენი პარტია ჯამს უკეთებს იმ მუშაობას, რომელიც მან ჩაატარა წითელ ჯარის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში დღიდან წინანდელი კონფერენციისა. კომუნისტური პარტია—წითელი ჯარის ძლიერების და სიმტკიცის საძირკველია. ის ხელმძღვანელობს მის მუშაობას, ის არის მისი წინამძღოლი და ბელადი. და აი ყოველწლიურად ჩვენი პარტია ნაწილების პარტორგანიზაციების წარმომადგენელთა სახით იკრიბება სადივიზიო პარტკონფერენციაზე, რომ ჯამი გაუკეთოს თავის წარსულ მოღვაწეობას, აღნიშნოს ყველა მიღწევები, ნაკლი, აწარმოოს გამოცდილების ურთიერთ გაზიარება და დაისახოს ახალი ამოცანები წითელი ჯარის შემდეგი გაძლიერების და მისი საბრძოლო ძალის აწევის საქმეში.

დღიდან უკანასკნელ პარტკონფერენციებისა ჩვენმა ორთავე დივიზიებმა მეტად დიდი მუშაობა ჩაატარეს, დააგროვეს დიდძალი გამოცდილება, განსაკუთრებით ტერსისტემის დარგში. ყოველივე ამ გამოცდილებას ესაჭიროება სათანადოთ დამუშავება და გამოყენება. ამ გამოცდილების საფუძველზე უნდა მოხდეს მომავალ ამოცანების დასახვა.

ამიტომაც ნაწილების პარტორგანიზაციებმა ამ თავითვე უნდა შეუდგენ პარტკონფერენციებისათვის მზადებას. თავის დელეგატებს პარტკონფერენციაზე მათ უნდა გამოატანონ თავისი მუშაობის მთელი გამოცდილება, ნაკლი და მიღწევები.

მაშინ სადივიზიო კონფერენციის მუშაობაც მეტად ნაყოფიერი და წარმატებითი იქნება. გადაუჭრელი არ დარჩება არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და მომავალი მუშაობის ამოცანები ნათლად და გარკვეულად დაისახება.

ვემზადოთ მომავალ სადივიზიო პარტკონფერენციებისათვის!

რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით გამოვიყენოთ წარსული მოღვაწეობის გამოცდილება მომავალ ნაყოფიერ მუშაობის უზრუნველსაყოფად!

## წითელ არმიელო! დაიცავი სისუფთავე და წესრიგი წითელ ყაზარმაში

სისუფთავე და წესრიგი—მუდამ უნდა ახასიათებდეს ყოველ წითელ მებრძოლს, განსაკუთრებით წითელ ყაზარმაში. თითეული წითელ არმიელის მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ყაზარმის შენობაში სიწმინდის დაცვას. ამას მოითხოვს თვით წითელ არმიელების ჯანმრთელობის ინტერესები.

მაგრამ საწუხაროდ ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ხშირად ივიწყებენ. უსუფთაობას, უწესრიგობას, ჭუჭყს—ბლომად ნახავთ ყაზარმაში.

აგერ საწოლი გაუსწორებელია, იქ დაფურთხებულია, აქ თამბაქოს ნამწვავი აგდია, სკამი დაბრუნებულია, პური სასთუმალის ქვეშ არის ამოდებული, თამბაქოს ბოლი ნისლივით მოფენია საწოლ ოთახს, ერთი წითელ არმიელთაგანი წამოწოლილა თავის საწოლზე და ტალახიანი ფეხები ზედვე აუ[illegible]ნია—ასეთ სურათებს ბევრს ნახავთ ჩვენი ყაზარმის ბინებში. ეს კი დაუშვებელია.

ასეთი მდგომარეობა დიდათ ავნებს პირველ ყოვლისა თვით წითელ არმიელებს. ამასთანავე ასეთი უყურადღებობით, დაუდევრობით სისუფთავისადმი, წესრიგიანობისადმი ფუჭდება სახალხო ქონება.

მართალია ხშირად ყაზარმებში ბევრი საჭირო ნივთი არ მოიპოვება საერთო უსახსრობის გამო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რაც არის არ გაუფრთხილდე და დაამტვერიანო, უყურადღებოდ მიაგდო. ცხადია ყოველივე ამას ჩვენმა წითელ არმიელებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ. თითეული მათგანი ყოველ მხრივ უნდა შეეცადოს როგორც პირადი მაგალითით, ისე სხვა ამხანაგებისათვის მითითებით ხელი შეუწყოს სისუფთავეს და წესრიგის დაცვას ყაზარმაში.

ნუ დაივიწყებს ნურც ერთი წითელარმიელი, რომ ის არა მარტო შეგნებული, პოლიტიკური და სამხედრო საქმეში მომზადებული მებრძოლი უნდა იყოს, არამედ კულტურულადაც მაღლა უნდა იდგეს. ჭუჭყი, უსუფთაობა, უწესრიგობა და სხვა—ყოველივე ეს კი უკულტურობაა. ხოლო ყაზარმაში თუთუნის არ მოწევა, იატაკზე არ დაფურთხება, საწოლის სუფთად შენახვა, მისი კარგად გასწორება, ბინაში შემოსვლის დროს ფეხსაცმელის გაწმენდა ტალახისაგან, პურის ყუთში შენახვა და არა ბალიშის ქვეშ ამოდება და სხვა—ყოველივე ეს კულტურობას, შეგნებულობას ნიშნავს. ყოველივე ამ „წვრილმანისაგან" დამოკიდებულია წითელ არმიელების ჯანმრთელობა და მათი საერთო ბინის—ყაზარმის სიჯანსაღე.

დიდ! ნუ იქნება ჩვენ წითელ ჯარში ნურც ერთი ისეთი წითელ არმიელი, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს ამ „წვრილმანებს" და მით არ დაიცავს სისუფთავეს და წესრიგს წითელ ყაზარმაში.

—მ.

## ფინ-იუი-სიანი ხელს იღებს საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

**იაპონიას მანჯურიიდან გაჰყავს დამხმარე ჯარები.**

— ფინ—იუი—სიანმა გაუგზავნა პეკინის მთავრობას დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ მან გადასწყვიტა თავი დაანებოს საზოგადოებრივ მოღვაწეობას და სთხოვს მთავრობას მიიღოს მისი გადადგომა.

დროებითი მმართველი დუან—ცზი—ჩჟუი გადადგება იანვრის თოთხმეტამდი.

— იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად იაპონიის სამხედრო დამხმარე ძალები გაყვანილ იქნებიან მანჯურიიდან 7 იანვარს.

## გომინდანის ყრილობა.

2 იანვარს კანტონში გაიხსნა გომინდანის ეროვნული ყრილობა.

ყრილობა გაგრძელდა სამი დღე.

## აბდ-ელ-ქერიმი განაგრძობს ბრძოლას.

აბდ-ელ-ქერიმი მიმართავს რეპრესიებს იმ ტომების წინააღმდეგ, რომლებიც ემორჩილებიან ესპანელებს.

არის ნიშნები, რომ აბდ-ელ-ქერიმმა მტკიცედ გადასწყვიტა განაგრძოს ბრძოლა ესპანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

## ინგლისის მრეწველობა თანდათან ეცემა

ინგლისის მრეწველობა თანდათან ეცემა. ნახშირის ამოღება, რომელიც 1924 წელში უდრიდა 227 მილიონ ტონას, 1925 წელში ჩამოვიდა 212 მილ. ტონამდე.

თუჯის დამუშავება 1924 წელში უდრიდა 6.099.000 ტონას, 1925 წელში 5.239 ტონას. ფოლადის ჩამოსხმა დავარდა 6.851.000—დან 6.131.000 ტონამდე.

## საფრანგეთის მშრომელ გლეხობის ყრილობა

23, 24 იანვარს პარიზში მოხდება მშრომელ გლეხობის პირველი ყრილობა. ყრილობა გაარჩევს შემდეგ საკითხებს: მშრომელ გლეხობის მოთხოვნილებანი, გლეხობა და ომი, ურთიერთ დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, სასოფლო-სამეურნეო სესხი, კოოპერაცია, გლეხთა ინტერნაციონალში შესვლა და სხვა.

## მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

პრაგის ქალაქის (ჩეხო-სლოვაკიაში) სათათბიროს პლენუმის სხდომაზე კომუნისტ ბენაკმა წინადადება შეიტანა მიმართონ მთავრობას მოთხოვნილებით, რომ მოკლე ვადაში ცნობილ იქნას საბჭოთა კავშირი. ბენაკის წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ახალი სარდლის ამხ. ლევანდოვსკის ჩამოსვლა.

6 იანვარს 16 საათზე ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდლად ახლად დანიშნული ამხ. მიხეილ კარლოსძე ლევანდოვსკი.

ამხ. ლევანდოვსკი დაიბადა 1890 წელს. დაამთავრა გროდნოს რეალური სასწავლებელი. სამხედრო განათლება მიიღო ვლადიმირის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1912 წელს.

წითელ არმიაში სამსახური დაიწყო 1918 წლის თებერვალში წითელი არმიის ორგანიზაციით გროზნოს რაიონში. 1918 წლის ივლისში დანიშნულ იქნას თერგის რესპუბლიკის სამხედრო კომისრად. ბიჩერახოვის აჯანყების დროს დანიშნულ იქნა მთელი წითელი ჯარების სარდლად თერგის რესპუბლიკაში. 1919 წ. ის დანიშნულ იქნა მე-11, შემდეგ ცალკე ცხენოსან დივიზიის უფროსად, მეთორმეტე არმიის უფროსის თანაშემწედ, მეშვიდე ცხენოსან დივიზიის უფროსად, მე-9 არმიის სარდლად.

1921 წლის ივნისში დანიშნულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწედ, ხოლო 1922 წლის ოქტომბერში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების დროებით სარდლად.

1923 წლის დეკემბერში ის გადაყვანილ იქნა უკრაინისა და ყირიმის შეიარაღებულ ძალთა სარდლის თანაშემწედ, ხოლო



ამხ. ლევანდოვსკი.

1924 წლის აპრილში დანიშნულ იქნა თურქესტანის ფრონტის ჯარების სარდლად.

სამოქალაქო ომში მონაწილეობას ღებულობდა 1918-1922 წლების პერიოდში. სხვათა შორის ამხ. ლევანდოვსკი მონაწილეობას ღებულობდა კორნილოვის წინააღმდეგ ბრძოლებში.

სამოქალაქო ომებში საბრძოლო მოქმედებისთვის ამხ. ლევანდოვსკი დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორდენით.

ამხ. ლევანდოვსკი კომუნისტური პარტიის (ბ) წევრია.

## გერმანიის სოც. დემოკრატებმა უარი განაცხადეს ახალ მთავრობაში შესვლაზე.

საკითხი გერმანიის ახალი მთავრობის (დიდი კოალიციის) შედგენის შესახებ კვლავ წამოიჭრა პირველ რიგში. შეერთებული პარტიების ცდებმა სოციალდემოკრატების მთავრობაში მიზიდვის შესახებ ამაოდ ჩაიარა. რიგის წევრების გავლენით სოციალ-დემოკრატიული პარტია იძულებული შეიქნა უარი ეთქვა მთავრობაში მონაწილეობაზე.

## ბალკანეთის თეთრი ტერორის მსხვერპლთა დასაცავად.

ბალკანეთის თეთრი ტერორის მსხვერპლთა დამცველ კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობს მწერლები ჰანრი ბორბიუსი და რომენ როლანი, ცანკოვის მთავრობის დაცემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მოწოდება. კომიტეტი მიმართავს საზოგადოებას მოითხოვონ წესიერი კანონმდებლობის აღდგენა ბულგარეთში და საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია.

**გაზეთ „წითელ არმიელის" შემდეგი მე-1000 საიუბილეო ნომერი გამოვა კვირას 10 იანვარს.**

## საარჩევნო კამპანიის წესი.

(ძ. წ. დ. არმიის კომენდატურის „ბოლცის" ურთიერთობისთვის)

იანვრის განმავლობაში ჩატარებულ და დამთავრებულ უნდა იქნეს დელეგატების არჩევის კამპანია სარაიონო და რწმუნებულთა კრებებზე.

რწმუნებულთა კრებაზე გამგეობის მიერ დაწესებულია წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები:

ა) სარაიონო კრებისთვის მეთაურთა და პოლიტმუშაკების ყოველ 10 წევრზე ირჩევს ერთ დელეგატს და 100 წითელარმიელზე, მიუხედავად იმისა, რომ ითვლებიან ისინი წევრებად თუ არა,—ერთ დელეგატს.

ბ) რწმუნებულთა კრებაზე დელეგატთა სარაიონო კრებიდან ოცი დელეგატიდან ირჩევენ ერთ რწმუნებულს.

სულ რწმუნებულთა რიცხვი უნდა იყოს: მათუმის სარაიონო კრებიდან—7 კაცი, ქუთაისის—6 კაცი, ლენინაკანის—6 კაცი, ნავთლუღის და ავლაბრის—10 კაცი (აქ შედის ნავთლუღში მობინადრე ნაწილები, ქართული დივიზიის მთიელთა ლეგიონი და ცხენოსანი ლეგიონი, სასურსათო ბაზა, რადიო ათასეული, საჯარიმო ასეული), ტფილისის გარნიზონიდან—17 კაცი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიისა და სანაპირო დაცვის ნაწილებიდან—5 კაცი, თელავის „წითელ წყაროდან" (კრასნიე კოლოდცი)" და მანგლისიდან—თითო კაცი, სულ სამი კაცი და ახალციხეში მობინადრე ნაწილებიდან—2 კაცი, სულ 56 კაცი.

საზოგადოების წევრთა, ნაწილებისა და დაწესებულებების წითელ არმიელთა კრებები ტარდება ნაწილების მიერ დამოუკიდებლად 20 იანვრამდე; ამ კრებებზე დასმულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

ა) დუქნის კომისიის ან კოოპერაციის ორგანიზატორის მოხსენება.

ბ) დელეგატების არჩევა რაიონულ კრებებზე დაწესებულ ნორმის მიხედვით;

გ) დუქნის კომისიის ან კოოპერაციის ორგანიზატორების ხელახლა არჩევნები, სადაც ეს არჩევნები უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ რომ რწმუნებულის სამთვიანი ვადა გავიდა.

ტფილისის მხედრ ნაწილებში გაკეთებულ იქნება მოხსენება გამგეობის წევრთა მიერ, ხოლო განყოფილებებში—განყოფილების ბიუროს წევრთა მიერ.

სარაიონო კრებების ჩატარება უნდა იქნას:

ა) ტფილისის ქალაქის—20 იანვრამდე,

ბ) ქუთაისის—25 იანვრამდე,

გ) ლენინაკანის—25 იანვრამდე,

დ) მათუმის—30 იანვრამდე,

ე) ნავთლუღ-ავლაბრის—25 იანვრამდე,

ვ) ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და სანაპირო დაცვის ნაწილების—30 იანვრამდე.

დღის წესრიგი სარაიონო კრებებზე იქნება შემდეგი:

1) გამგეობის მოხსენება,

2) რწმუნებულთა არჩევნები, ხოლო განყოფილებებში პირველი საკითხი იქნება განყოფილების ბიუროს მოხსენება და მეორე საკითხი—ბიუროს ხელახალი არჩევნები.

რწმუნებულთა კრება შესდგება თებერვლის პირველ რიცხვებში.

რწმუნებულთა კრებისთვის წერილობით გამოქვეყნებულ იქნება გამგეობის ანგარიში.

გამგეობა მიმართავს ყველა პოლიტმომუშავეებს, მეთაურებს და საზოგადოების წევრებს თხოვნით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საარჩევნო კამპანიის ჩატარებასა და ჩატარონ ის აღნიშნულ ვადებში.

ა. ბ.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### 2-რე ლეგ. 3-მე კომუჯრედი.

24 დეკემბერს ქალაქის კომუნალურ მეურნეობის პარტუჯრედთან შესდგა ლეგიონის 3-მე უჯრედის გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება ლეგიონის უჯრედის მუშაობის შესახებ, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ჩათვლილი. მოხდა ხელახალი გადარჩევა პასუხისმგებელი მდივნის, რომელსაც დაავალეს უფრო მეტი ენერგიული მუშაობის წარმოება მომავალში. შემდეგ გაეცნო კრებას ხსენებულ კომუჯრედების ურთიერთთან დამოკიდებულების ფორმა და თანამშრომლობა. კრებამ ერთხმად დაადგინა რათა ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდეს, ორივე მხრიდან და გაცხოველდეს მუშაობა.

სამხკორი ა. გეხილაძე.

### 1-ლი ლეგიონი.

ახალმა გაწვევამ ჩვენს ლეგიონში საკმაოდ მოუყვარა თავი ახკომკავშირის წევრებს, რამაც ძლიერ გამოაცოცხლა კავშირის მუშაობა. სისტემატიურად ეწყობა ასეულებში ახკომკავშირის ჯგუფების კრებები. ასევე ხდება ლეგიონის მასშტაბითაც. თითეული ახკომკავშირის წევრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე პარტიულ კრებებში. ხშირ-ხშირად ეწყობა ლეგიონის და ასეულების ორგანიზატორების თათბირი, რომლებზედაც განსაკუთრებით იხილავენ ცირკულიარებს კავშირში მუშაობის შესახებ.

კავშირს აქტიურ დახმარებას უწევს ლეგიონში აგრეთვე პარტია-ბიურო კოლექტივის და კომუჯრედების საშვალებით.

კავშირი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ლეგიონის უპარტიო წითელ-არმიელთა მასაში, რაც იწვევს მათ ლტოლვას კავშირის რიგებისკენ.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ახკომკავშირის ჯგუფები და 25 დეკემბერი.

### 1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ჯერ კიდევ არ იყო მოახლოებული 25 დეკემბერი, როცა ჩვენს ნაწილში დაიწყო წინასწარი მუშაობა ამ დღისთვის. ლეგიონის ახ. კომ. კ. წევრები წინასწარ მუშაობაში მთავარ ყურადღებას აქცევდენ კარგად ჩაეტარებიათ ეს დღე—კომკავშირის შობა.

უპარტიო წითელ არმიელებსაც ეტყობოდათ, რომ კომკავშირის ჯგუფების მუშაობა ამ დღისთვის მარტო კომკავშირის დღე და მუშაობა არ იყო და ამიტომ ხშირ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა უპარტიო ამხანაგები მოითხოვდენ რაიმე დავალების მიცემას. ამ დღისთვის დავალება ეძლეოდა უპარტიო ამხანაგებსაც, როგორიცაა საუბრების ჩატარება ლენკუთხეში, ხმამაღალი კითხვა, მოხსენების გაკეთება და სხვა.

ყველა ამხანაგები წინასწარ მუშაობის დროს ანგარიშობდენ თავიანთ ძალას რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით ერთხელ კიდევ ამტკიცებდენ იმას, რომ ჩვენ მხად ვართ ხელიხელ ჩაკიდებული სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ რელიგიურ დღესასწაულებს და მის ნაცვლად მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ მშრომელ ახალგაზრდობის განმათავისუფლებელ და რევოლიუციონურ დღესასწაულებს. ამ დღეს ლეგიონის ახკომკავშირის წევრები ძველ დღესასწაულსა და ჩვეულებებს უპასუხებდენ ახალი ყოფა-ცხოვრების წესებით. ჩვენი ახკომკავშირის ჯგუფები 25 დეკემბრამდე ცალ-ცალკე აწარმოებდენ მუშაობას, მხოლოდ ამ დღეს კი ყველა ჯგუფები ერთდებიან ლეგიონის მაშტაბით, გამოდიან მოხსენებებით, სდგამენ ანტირელიგიურ პიესას და ამით აცნობენ წითელ არმიელთა მასას რელიგიის სიყალბეს.

სამხკორი ტ. მამალაძე

## სამხედრო საქმე.

## საველე სამსახური ხუთი თითივით უნდა იცოდე.

გარდა შაშხანის, ტყვიამფრქვევის, საგარნიზონო და შინა სამსახურის, სანგრის საქმისა და სხვა განყოფილებათა შესწავლის გარდა მებრძოლმა კარგად უნდა შეისწავლოს აგრეთვე საველე სამსახური. ყოველი ბრძოლა სწარმოებს ან მინდვრად (ტყეში), ან მოსახლეობიან ადგილებზე.

თუ როგორ უკეთ უნდა იბრძოლოს თავის მტერთან—ეს მეომარმა კარგად უნდა იცოდეს.

თუ მას ეს არ ეცოდინება, ის მალე დაიღუპება ბრძოლაში და თავის ამხანაგებსაც დაღუპავს.

ხოლო საველე სამსახურიდან ბევრის ცოდნაა საჭირო. ბრძოლაში მოხერხებულად უნდა გამოიყენო ადგილმდებარეობის ხელსაყრელი მხარეები (თხრილი, ორმო, ბორცვი, ხე), სხვაფერ მტერი ჩქარა შეგამჩნევს და ცეცხლს გაგიჩენს.

ამას გარდა უნდა იცოდე, რომ არჩეული ადგილი მოხერხებული უნდა იყოს სროლისთვის (შაშხანისთვის დასაყრდნობი ადგილი). ბრძოლაში მოგიწევს არა მარტო წოლა ან ჯდომა ერთ ადგილზე. იქ მოგიხდება წინ გადანაცვლება, მტერზე მიახლოება იმისთვის, რომ შემდეგ დაუშინო მას ხელით სატყორცნი ყუმბარები ან ეკვეთო ხიშტით. ამისათვის საჭიროა ჩქარა და სწრაფად შეასრულო გადარბენა, ამოირჩიო სროლისთვის მოხერხებული ადგილი და შენიღბო.

როცა მტრის გამიზვნა სწა[…] მოებს, უნდა ადევნო თვა[…] ყური—სად ხვდება შენი […] ამხანაგების ტყვია. თუ შე[…] ყობ, რომ ტყვია ვერ მისწ[…] ან გადაშორდა, უნდა გამ[…] წორო ეს შეცდომა და […] უნდა შესცვალო. არ უნდა გა[…] შვა მხედველობიდან თვით მ[…] პირდაპირე: სად იმყოფება […] რამდენი ძალა ჰყავს, საით[…] მოძრაობს, ვინ ეხმარება […] ზურგიდან. ყველაფერი ეს კა[…] რგად უნდა იცოდეს მეომარმა.

ამას გარდა უნდა შეისწა[…] ლოს მრავალი წესები ჯარები[…] დაცვისა დასვენების დროს, ბრ[…] ძოლაში, ლაშქრობის დროს, ბანაკად და სხვა.

არავითარ შემთხვევაში ყუ[…] რადღებოდ არ უნდა დაიტო[…] ვოს ზვერვის საქმე, კავშირ[…] მეზობელ ნაწილებთან და თა[…] ვის ნაწილს შიგნით. მეომარმ[…] უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა გამაგრდეს მტერზე წართ[…] მეულ პოზიციაზე, თუ როგორ დევნოს მტერი, როცა ის უკა[…] იხევს, როგორ უნდა აწარმოოს წინსვლა როგორც მთელი ნა[…] წილით, ისე ცალკეულად გზებზე და უგზოდ, როგორ უნდა მოთავსდეს ღამით დასასვენებლად, სად უფრო მოხერხებული იქნება (მინდვრად, სოფ[…] ლად) და ბოლოს—როგორ უნდა აწარმოოს ბრძოლა მტერთან, როცა ის მოძრაობს, ა[…] გილზე სდგას და გამაგრებულია.

ი. ბ.

## შეისწავლე აირმსპოხის ხმარება.

### სუნთქვა აირმსპობში.

ახალგაზრდა წითელ არმიელებმა უკვე მიიღეს დაწყებითი ცნობები აირმსპობის შესახებ, რომელიც ყველა სხვა საშვალებებზე უფრო იცავს ზხამიანი აირების მოქმედებისაგან. მაგრამ რომ უფრო ნაყოფიერად გამოიყენო ის, უნდა იცოდე მისი სწრაფად გაკეთება, და რაც მთავარია, შეგეძლოს ნელა და მშვიდად სუნთქვა აირმსპობში. ცხადია, აირმსპობში სუნთქვა ძნელია, ხოლო ვისაც არ შეუძლია ზომიერად ისუნთქოს, მისთვის ხომ მეტად ძნელი იქნება აირმსპობში ყოფნა. მაშასადამე პირველყოვლისა უნდა შეისწავლო სწორი სუნთქვა. ყველა მეცადინეობის, განსაკუთრებით, ფიზიკური მომზადების, აგრეთვე აირმსპობებით ვარჯიშის დრო, უნდა აასრულო შემდეგი:

1) ჰაერი უნდა შეისუნთქო ცხვირით და არა პირით.

2) შესუნთქვის დროს ეცადე გააფართოვო ცხვირის ნესტოები.

3) შესუნთქვა უნდა აწარმოო ნელა, არას დროს არ ამოისუნთქო ერთბაშად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

4) ნორმალურ, მშვიდ მდგომარეობაში ადამიანი წუთში 16 ჯერ შეისუნთქავს და ამოისუნთქავს. აუცილებლად უნდა მიეჩვიო, რომ ჩასუნთქვას ისეთივე დრო მოანდომო, როგორც ამოსუნთქავს. შემდეგ თანდათან უნდა გააგრძელო ამოსუნთქვა და ფრთხილა[…] დაიყვანო სუნთქვის რაოდ[…] ნობა წუთში 12—14-მდი.

5] ღრმად ჩასუნთქული ჰა[…] რი უნდა შეაჩერო ფილტ[…] ვში 5 წამით, შემდეგ თანდ[…] თანობით უნდა აიყვანო […] დრო 25—30 წამამდი (და არ[…] ავითარ შემთხვევაში 40 წამ[…] ზევით).

6) მეომარმა უნდა თავი შ[…] იკავოს დაჩქარებით შესუნ[…] ქვისაგან ნელი ამოსუნთქვ[…] თანავე. ეს უცილებელია იმის[…] თვის, რათა საჭირო შემთხვ[…] ვაში გქონდეს აირმსპობის […] მოცმისათვის საჭირო დრო.

7) სიარულისა და სირბილ[…] დროს უნდა შეგეძლოს ზომი[…] ერად სუნთქვა. მაგალითად სიარულში: სამი ნაბიჯი—შ[…] სუნთქვა, სამი ნაბიჯი—ამოს[…] ნთქვა; ან ოთხი—შესუნთქ[…] ოთხი—ამოსუნთქვა. შემდეგ ჩასუნთქვის რაოდენობა უნ[…] დასტოვო უცვლელად, ხოლ[…] ნაბიჯები ამოსუნთქვისთვის […] ადიდო; მაგალითად: სამი ნაბ[…] ჯი—შესუნთქვა, 5 ნაბიჯი ამოსუნთქვა.

ეს პრაქტიკული დარიგ[…] საშუალებას მისცემს წით[…] არმიელს გამოიმუშაოს სწო[…] სუნთქვა აირმსპობში. და […] შინ არამც თუ ვერ იგრძნ[…] სუნთქვის სიძნელეს, […] თავისუფლად იქნება აირმ[…] ბში, ე. ი. შეეძლება ყოვ[…] გვარი მუშაობის ასრულ[…] როგორიც კი შეხვდება ბრძოლის პირობებში.

## ჯარის ნაწილების შეჯიბრი საჭმლის მომზადებაში.

(გაგრძელება)

არც სურსათ-სანოვაგის საწყობშია დაცული წესრიგი, ხორცი ლურსმანზე კი არაა დაკიდებული, დევს უსუფთაო ფიცარზე და ზედ არაფერი არა აქვს გადაფარებული; საერთოდ საწყობი ჩიულოგებულია. იქვე ინახება მეკუპნავის მაზარა და ტანისამოსის ყუთი. სადილის დარიგების დროს არაა დაცული ყველგან წესრიგი, წითელარმიელები მიდიან სასადილოში თავიანთ პურით, ჯამებით და კოვზებით ხელში, ზოგ ალაგას 8—10 კაცი სჭამს კერძს ერთი ქვაბიდან, სადილის გათავებისას ყველა მიდის ეზოში ჯამისა და კოვზის ცივწყალში გასარეცხად; წითელარმიელები ერთ ერთ ნაწილში სადილობენ ზოგი სასადილოში, ზოგი კარებში, ზოგი ეზოში, ამასთან ფეხდგომილა; როდესაც ეკითხები ერთეულის თავის თანაშემწეს სამნეო დარგში, ნუ თუ არ შეიძლება მოწესრიგდეს, რომ ჭამის დროს წითელარმიელები ისხდნენო, გიპასუხებს,—სკამები გვაქვს, მხოლოდ გარეთ არისო (ჩანს მეტად ძნელი ყოფილა მათი შემოტანა სასადილოში). ერთ სკოლაში დანა ჩანგალი აქვთ, მხოლოდ არ აძლევენ კურსანტებს იმიტომ, რომ დანა-ჩანგალს ბევრი წმენდა სჭირიაო; მეორე ნაწილში შედიხარ სამზარეულოში, სინჯავ სადილს, ეკითხები სამნეო ნაწილის გამგეს, ხვალ რა სადილი გექნებათო, გიპასუხებთ—წინადღით არ ვიცით, რადგან ამას მხოლოდ საღამოობით მე და სასადილოს გამგე გადავწყვეტთ ხოლმეო.

რაც შეეხება საერთოდ საჭმლის გაუმჯობესებას ჩემის აზრით, ზოგიერთ ნაწილებში შესაძლებელი იყო მიეცათ წითელარმიელთათვის უფრო უკეთესი სადილ-ვახშამი. კომისია მიდის ერთ ალაგას, სადაც ოთხი ერთეულის სამზარეულოა ერთ ეზოში, სინჯავს ყველგან საჭმელს და იგებს, რომ სამ ჯარის ნაწილში სულ მუდამ დღე ორი თავი საჭმელია სადილ-ვახშმად, ერთში კი—ხანდისხან მარტო ერთი თავია, შესაძლებელი კია საარტელო თანხების მიხედვით ყველაზე უფრო უკეთესი სადილვახშამი იქ დამზადდეს ორი თავიდან (იმ დღეს დამზადებული სადილი ერთი თავისა ვერ იყო სათანადოთ მაძღრისი და გემრიელი).

ზემოთ აღნიშნული ნაკლულევანებანი, ჩემის აზრით, შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნას, თუ რომ ის პირნი, რომელთაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება ერთეულის სამნეო დარგთან, ერთიორი კვირის განმავლობაში დაბეჯითებით მოითხოვენ ყველა ხელქვეით თანამდებობის პირებისაგან თავიანთი მოვალეობის ასრულებას. ნუ თუ ისე ძნელია, რომ ქვაბები სუფთათ ირეცხებოდეს, ან გაფცქვნილი კარტოფილი წყალში იყრებოდეს, ან სამზარეულოში უალაგო ალაგას არ ეყაროს ტანისამოსი, ან რომ სადილის დარიგების დროს წესიერება იყოს და სხვა.

ამავე დროს მე არ შემიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნო ზოგიერთი ჯარის ნაწილების სისუფთავე და მათ მიერ მომზადებული სადი და გემრიელი საჭმელი, აგრეთვე ერთგვარი წესიერება საჭმლის დარიგების დროს, რომელიც აღმოჩენილ იქნა კომისიის მიერ. ზოგან მიუხედავათ იმისა, რომ კმაყოფაზე 1000—1200 კაცამდის არის, წესიერათ რიგდება სადილი, ეძლევათ როგორც პირველი, ისე მეორე თავი სუფთა ჯამებში.

კომისიის მუშაობა ახლო მომავალში დამთავრებული იქნება და შეჯიბრების შედეგი ბრძანებაში იქნება გამოცხადებული.

ნ. შანშიაშვილი.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ჩვენი საქმიანობა.

მე-2-რე არტლეგიონი.

უკვე 2 თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენ წითელ ყაზა- მაში ვცხოვრობთ. გაზეთების გრძელვადიან შვებულებაში შვებულ ყოფილ წითელარმ- ის ნაამბობის საშვალე- ჩვენ გვქონდა დაახლოე- თი წარმოდგენა წითელ არ- ის საქმიანობაზე. წითელ არ- ას უფრო კარგად გავეცანით ოდესაც თითონ ჩავდექით მის აგებში. მართალია პირველ ნებში ჩვენ ვერ შევეგუეთ მხედრო დისციპლინას, მაგ- ამ უფ-პოლიტ-შემადგენლო- ს დახმარებით, რომლებიც ნ კარგად დაგვიხვდენ, მალე ვითვისეთ შეგნებაზე დამყა- ბული დისციპლინა, რომე- ც სუფევს დღეს წითელ არ- ში. დღეს ყველას ჩვენ ჩვე- საქმე გვაქვს მიჩნეული. მუ- ობა თანდათან რთულდება წინ მიიწევს.

ამ ჟამად ჩვენს ნაწილში ჩა- ყალიბებულია სხვა და სხვა ები, რომელშიდაც ჩაბმუ- ა თითქმის ყველა წითელ მიელები. ყოველ საღამოო- ბით ლენინის კუთხეში ტარდე- ბა საუბრები წითელ არმიის ისტორიაზე და სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. წითელ არმიელები დიდის ხალისით ღებულობენ მონაწილეობას პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

კარგი დამოკიდებულება არის მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის, რაიც თავდებია იმის, რომ ყოველივე მუშაობა ნაყოფიერი იქნება.

მუშაობას ხელს უშლის მხოლოდ ის, რომ ჩვენ არ გვაქვს საკუთარი კლუბი. მაგრამ ეს ნაკლულოვანება ჩვენ არ შეგვტყობია. ჩვენს ახლოს არის ტყავტრესტი. იქაურ მუშებს კარგი მოწყობილი კლუბი აქვთ, რომელთანაც ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს. ვმართავთ ჩვენი ძალებით ზემოხსენებულ კლუბში წარმოდგენებს.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში წითელ ყაზარმაში ჩვენმა საქმიანობამ უკვე სათანადო ნაყოფი გამოიღო.

სამხკორი კ. გაბუნია.

## ორი გამარჯვება.

1-ლი ლეგ. ამხ. ელიავას სახელობის ფეხბურთელთა წრე.

ამხ. ელიავას სახელობის-პი- ელი ლეგიონის ფეხბურთე- ა ჯგუფი გასაოცარი წარ- ებით მიიწევს წინ.

ში თავმოყრილია საკ- ცოცხალი, მკვირცხლი მოძრავი ახალგაზრდობა, მელსაც ყველგან გამართულ ჯიბრში არავისათვის პირვე- ობა არ დაუთმია.

ამა წლის იანვრის პირველ ცხვებში ჯგუფს მოუხდა შე- ბრი ავიაციის ფეხბურთელთა მეორედ 21-თე რუსულ თაურთა სკოლის ფეხბურთე- ა ჯგუფებთან.

1-ლი ლეგიონის ჯგუფმა ც გამოიჩინა თავისი დახე- ვნება და კარგი ორგანიზაცია. 21-თე სკოლის ჯგუფში თითქოს თავის ტოლ მოწინაღმდეგეს შეხვდა ლეგიონის ჯგუფი, მაგრამ ბოლოს ამ უკანასკნელმა მაინც დაამტკიცა თავისი უპირატესობა პირველთან შედარებით. შეჯიბრი დამთავრდა 2—1 ამხ. ელიავას სახელობის ფეხბურთელთა ჯგუფის სასარგებლოდ.

მეორე შეჯიბრი გაიმართა ავიაციის ჯგუფთან. მიუხედავად ამ უკანასკნელის, თამაშის დაწყებისთანავე ერთიან შეტევაზე გადასვლისა, ლეგიონის ჯგუფმა მაინც გაიმარჯვა. შედეგი 2—0 ლეგიონის ჯგუფის სასარგებლოდ.

სამხკორი ვაშაკიძე.

## გვასწავლეთ სიმღერები.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონის ახლად მოსულ ელ არმიელებმა სრულიად იან სიმღერები. როდე- მივდივართ გზაზე მწყობ- , კაცს ეგონება დამუნჯე- ლანი. საჭიროა ჩვენი მე- ურები შესაფერ ყურადღე- მიაქცევდენ ამ მოვლენას. მიბაძონ სხვა ნაწილებს, და ჩვენს წითელ არმიელებსაც ასწავლონ სხვა და სხვა სიმღერები. ეს უმთავრესად ეხება ლეგიონის პირველ ესკადრონს.

მალე გვასწავლეთ სიმღერები.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ჩვენც მოვეწყვეთ.

2 ლეგ. მე-2 ათასეული.

სხვადასხვა დაბრკოლებების დგომ, ლეგიონის მე-2 ათა- ულმაც შესძლო მოწყობა შეუდექით წითელარმიელთა ხედრო, პოლიტიკურსა და ლტურულად აღზრდის საქ-

დეკემბრის 1-ლ რიცხვებში ოყალიბდა სხვადასხვა წრეე- , რომლებიც სისტემატიურად გრძობენ თავის მუშაობას. სულ 5 წრე, მაგრამ ის ე. ი. დრამწრის მუშაო- ვერ არის ჯერ კიდევ მოგ- ებული, მიზეზი ის არის, მ არა გვყავნან ქალთა ძა- ები. წრემ შესაფერი ნაბიჯი დადგა ამხრივ, რომ გამოყონ ასეთები რომელიმე ორგანიზაციიდან.

პარტწრის და ლიტწრის ხელმძღვანელები სამოქალაქო ორგანიზაციებიდან არიან მომაგრებული, რომლებიც კარგ დახმარებას გვიწევენ წრის მიზნის განხორციელებაში. ათასეულში გახსნილი წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა 100-მდე უცოდინარ არმიელებს აკავშირებს. როგორც სკოლის მუშაობა, ისე პოლიტ-მეცადინეობა ჯგუფურად სწარმოებს, ხელმძღვანელებად დანიშნული არიან მცოდნე წითელარმიელები და უფროსთა შემადგენლობა.

სამხკორი ელისო.

## როგორ ვმუშაობთ.

მეექვსე ლეგიონის მესამე ათასეული.

ყველა იმ გადაუდებელ საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე, 23 დეკემბერს მოწვეულ იქნა თელავის მაზრის აგიტ-კოლეგიის თათბირი, რომელსაც სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გარდა დაესწრენ მაზრის ყველა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მომუშავეები. თათბირზე გასარჩევი იყო, მხოლოდ ის საკითხები, რომელიც შეტანილ იქნა ჩვენს მიერ. ასეთებია შემდეგი საკითხები: 1. სამხედრო კუთხეების მოწყობა თელავის მაზრაში, 2. გაზ. „წითელი არმიელის“ გავრცელება მაზრაში, და 3. ცნობათა მიმწოდებელი ბიუროს დაარსება. პირველი საკითხის შესახებ თათბირმა დაადგინა: მოეწყოს სამხედრო კუთხეები სამ ალაგას, თელავის ცენტრალურ სამკითხველოში, ყვარელში და ახმეტაში, რომლის მოწყობისათვის საჭირო მასალები ეთხოვოს სამხედრო კომისარიატს.

გაზ. „წითელი არმიელის“ გავრცელების შესახებ თათბირმა საჭიროთ სცნო მისი გამოწერა და გავრცელება სოფლად. გაზეთზე ხელის მოწერის გაფართოება დაევალა აღგ. საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებს.

კრებამ აგრეთვე საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნეს ქოხ-სამკითხველოებთან ცნობათა მიმწოდებელი ბიუროები, რომ ამით სოფლის გლეხებს არ დასჭირდეთ ბევრი წვალება ამა თუ იმ გაუგებარი საკითხების გამოსარკვევად.

დ. ჭანკვეტაძე.

## მეთაურთა სკოლის უმცყოგრო გუნდი.

ჩვენი გუნდის შევსების შემდეგ ახლად მოსული არმიელებისაგან, დაიწყო მეცადინეობა. სისტემატიურად გვასწავლიან სამხედრო საქმეს და გვამეცადინებენ პოლიტსაათებში, რისთვისაც არავითარ სიძნელეს არ ერიდებიან ჩვენი მეთაურები.

ბევრი იყო ჩვენს შორის წერა-კითხვის უცოდინარები, რომლებთანაც თავიდანვე დაიწყეს მუშაობა და ამ ჟამადაც ენერგიულად განაგრძობენ.

გუნდში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სხვა და სხვა ბირთვების მუშაობას, როგორიც არიან მაგალითად: პოლიტბირთვი, მკითხველთა ბირთვი, სამხკორთა, დრამატიული, მომღერალთა წრეები და სხვა. ყველა ამეებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გუნდის წითელ არმიელები. ხშირად გამოდიან ამხ. წითელ-არმიელები და აკეთებენ მოხსენებებს დავალებულ თემებზე, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. იმედი გვაქვს ჩვენი მასწავლებლები კიდევ უფრო გააძლიერებენ ჩვენთან მუშაობას.

წ. არმ. გორდელაძე.

### დაანაწილეთ პური.

მე-3 ლეგ. ბატარეია.

სადილობის დროს ბატარეიაში არ ნაწილდება პური. ყველასათვის საერთოდ მოაქვთ მაგიდაზე. ამ გარემოებას ის მოსდევს შედეგად, რომ ზოგიერთები ვერ ასწრებენ და ხშირად მშიერი რჩებიან. ასეთი წესით პურის მოტანა მიუღებელია. სჯობს სხვა ნაწილების მზგავსად ჩვენც დაგვინაწილონ პური.

სამხკორი ქოლაბნელი.

## წვევამდე მზადების წერტებზე.

## ვსწავლობთ გამალებით.

ფშავლის წერტზე.

2 დეკემბერს ჩვენი მე-8 ასეული უკვე შეუდგა ფშავლის წერტის მოწყობას. პირველ დღეებშივე შეუდექით სამხედრო მზადებას.

გათენდა დილა. თოვლით მოფარულია მთელი მიდამო. მოისმის წვევამდელების ყიჟინი, რომლებიც გროვათ მიეშურებიან დანიშნულ ალაგას.

აი მოგროვდენ ყველანი და შეჰხარიან ახალ საქმის შესწავლას.

გაისმის ჩვენი მეთაურების ხმა: „აქეთ ამხანაგებო“! ყველანი შედიან დანიშნულ ოთახში, სადაც მათ ესალმება ასეულის მეთაური; რომელიც მოკლეთ უხსნის მათ გამოწვევის მნიშვნელობას.

პოლიტხელი ატარებს პოლიტსაათს.

იწყება სამხედრო საქმე, ყველანი იქეთ მიეშურებიან, რათა ამ თვენახევრის განმავლობაში მიიღონ ყველა ის ცოდნა, რომელსაც მათ აკისრებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

პირველ დღიდანვე ჩამოყალიბებულ იქმნა ა. ლ. კ. კავშირის კოლექტივი.

კოლექტივის ა. ლ. კ. კავშირის წევრები ეწევიან აქტიურ მუშაობას უპარტიო წვევამდელებში, რათა ამის საშვალებით გაღვივონ და გააფართოვონ კომკავშირის ავტორიტეტი მათ შორის.

გარდა ამისა ა. ლ. კ. კავშირმა დაადგინა, წერტზე დაარსებულ იქმნეს ა. ლ. კ. კავშირის ისტორიის შემსწავლელი წრე, რომლის მუშაობაში ჩააბან უპარტიო წვევამდელებიც.

ვ. სვანიძე.

## ვაყის წერტის ცხოვრებიდან.

მეოთხე ლეგიონი.

სამი კვირა სრულდება მას შემდეგ, რაც სადგურ გომიდან წვევამდელთა წერტი გადმოვიტანეთ სოფელ ვაყაში, აქ ცხოვრება უკეთეს პირობებში გვიხთება.

მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურათ როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური. წვევამდელები ძლიერ დაინტერესებული არიან, სამხედრო და პოლიტცოდნის შესწავლაში. აქ, სოფელ ვაყაში გადმოსვლისას სოფელი კარგათ შეგვხდა. ჩვენმა მოსვლამ გამოიწვია დიდი სიხარული ადგილობრივ მცხოვრებლებში.

წერტზე ჩამოყალიბებულია კომ-კავშირის ჯგუფი რომლებიც მეცადინეობს სისტემატიურათ და განაწილებული აქვს წვევამდელებზედ სხვა და სხვა დავალებები. ახალგაზრდათა კომკავშირის კრება კვირაში ხდება ერთჯერ, პარასკეობით, მეცადინეობის გათავების შემდეგ, რასაც უსწრებიან ადგილობრივი მცხოვრებლები. უკანასკნელები გამოსთქვამენ დიდ სიხარულს ერთი მეორეზე დაკავშირებისათვის.

ჩვენ უკვე ჩავატარეთ პირველი და მეორე სროლის ვარჯიშები. წვევამდელები სროლის საქმეში ძლიერ დაინტერესებული არიან.

ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად დადიან ჩვენს სამკითხველოში, სადაც კითხულობენ გაზეთს და სხვა და სხვა წიგნებს, თანაც გაიძახიან: „გათენდა დღე ბედნიერების, ჩვენი შვილები ემზადებიან ჩვენ ოჯახში სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის მისაღებათო“.

წითელ არმიელი

გ. ჩინჩალაძე.

## აპირჩიეთ რედკოლეგია!

გურჯაანის წერტი.

წასული წლის 21 დეკემბერს ჩვენს წერტზე მოწვეულ იქნა წვევამდელთა საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები; 1. მოხსენება 1905 წლის რევოლიუციის შესახებ, 2. ტერ-ადმშენებლობა და 3. კედლის გაზ. სარედაქციო კოლეგიის არჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა წვევამდელმა ამხ. ჯამასპიშვილმა, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ 1905 წლის რევოლიუციის მნიშვნელობა და მისი დამარცხების მიზეზები.

ტერ-ადმშენებლობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გოციძე, რომელიც ეხება ტერიტორიალური სისტემის მნიშვნელობას საბჭოთა სახელმწიფოსათვის და მოსახლეობის გასამხედროებისათვის.

კედლის გაზეთის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს მეთაური ჭეჭინაძე და მოუწოდებს დამსწრეთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა გაზეთის მუშაობაში. მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია სარედაქციო კოლეგია ხუთი კაცისაგან შემდგარი.

ვუსურვებ სარედ-კოლეგიას ნაყოფიერ მუშაობას.

გ. ჭელიძე.

## ჩვენთან.

მე-IV ლეგიონის წვევამ.-საარტილერიო წერტი.

ჩვენი წერტი აერთიანებს 55 წვევამდელს. 90% წვევამდელების ადგილობრივი მცხოვრებლებია. წარსულში წერტზე იყო დეზერტირობა, მაგრამ ეს ნაკლი თანდათანობით და სრული შეგნებით გამოსწორდა. ამჟამათ დეზერტირობა სრულიად აღმოფხვრილია. წერტზე გამოდის კედლის გაზეთი, რაშიც მონაწილეობას ღებულობს წვევამდელთა ფართო მასა. ჩამოყალიბებული არის კომკავშირის კოლექტივი. კოლექტივს აქვს კავშირი გორის კომკავშირის კომიტეტთან და მის პროპკოლექტივთან. ყოველ ერთიან კავშირის დღეს იმართება ღია კრება. კეთდება მოხსენებები სხვა და სხვა კითხვებზე, როგორიც არის 1905 წ. რევოლიუცია, საბჭოების ხელახალი არჩევნები და სხ. კოლექტივს განზრახული აქვს დრამწრის საშუალებით წარმოდგენის დადგმაც. ყოველივე ამ მუშაობაში ხელს გვიწყობენ მომავალი პედაგოგები—ჩვენი „წერტის წვევამდელები.

სოროზან.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

ველისციხის წერტი.

ველისციხის წერტმა მუშაობა დაიწყო წასული თვის რვაში. თუმცა ზოგიერთი სოფლები კარგა მანძილითაა დაშორებული ველისციხის თემის წერტს, მაგრამ მაინც არ აქვს ადგილი წვევამდელების დაკლებას მეცადინეობაზე. წვევამდელები შეგნებულათ იხდიან თავიანთ მოვალეობას. კარგათ ითვისებენ ყოველივე სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას და ცდილობენ რომ მალე შეისწავლონ ყველაფერი.

წერტზედ დავაარსეთ ლენინის კუთხე. ადგილობრივ კლუბშიდაც გავხსენით სამხედრო კუთხე ზეიმით. წვევამდელებმა ზეიმში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. იმათმა შეასრულეს სიმღერები, ოხუნჯური ანეგდოტები და ცეკვა. ბოლოს გაიმართა პოლიტიკ. აუქციონი. გათამაშებულ იქნა ერთი წიგნი. წვევამდელებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს აუქციონში. წიგნი დარჩა ერთს ამხანაგს, რომელმაც კარგათ უპასუხა კითხვებზე.

წვევამდელი ურგიაშვილი.

# სამხედრის კუთხე

## როგორ უნდა სწერო გაზეთში?

ჩვენი წითელი არმიის ერთ-ერთი ნაწილიდან სამხედრი გვიგზავნის კორესპონდენციას ნაწილის საქმიანობის შესახებ, კორესპონდენცია შეიცავს 263 სტრიქონს და ზომით არის 4 არშინზე მეტი, რომელსაც რედაქცია ვერ გაუშვებს. ზოგიერთი სამხედრი და შეიძლება თვით დამწერიც შეგვეკითხება, თუ რატომ არ გაუშვებთ? არ გაუშვებთ იმიტომ, რომ კორესპონდენცია არის არ ნახული და არ გაგონილი თავისი სიდიდით და უშინაარსობით.

ასეთი კორესპონდენცია როგორც ჩვეულებრივ, ისე ჩვენი ნაწილების წითელ არმიელებისათვის ყოვლად გამოუსადეგარია. როგორ სწერს სამხედრი ამ კორესპონდენციას? „ჩვენი ნაწილში სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა იმდინარეობს სისტემატიურად, წრეების მუშაობა თავის დონეზე სდგას, ცირკვების მუშაობაც გამოცოცხლდა და სხ.“ მთელი კორესპონდენცია აგებულია საკითხების ზერელეთ გაშუქებასა და გამეორებაზე. მისცემს რამეს ასეთი კორესპონდენცია მის წამკითხავ სხვა ნაწილის წითელ არმიელს? სრულიადაც არაფერს.

საჭიროა ასეთი შინაარსის კორესპონდენციები მრავალი მოდის რედაქციას სხვადასხვა ნაწილების სამხედროებისაგან. ამ კორესპონდენციებში იგეთივე ზოგადი ფრაზებითაა გაშუქებული ყოველივე საკითხები, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ.

რაა საჭირო, რომ ეს ნაკლი გამოსწორდეს: უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ სამხედრომ ყოველთვის სწეროს მოკლეთ ერთ რომელიმე საკითხზე გარკვევით და შინაარსიანად და დაწვრილი მასალა თავის დროზე გააგზავნოს რედაქციაში. სამხედრი ძლიერ უნდა ერიდოს საკითხების ზოგადი ფრაზებით, ზერელეთ გაშუქებას და სხ.

წერის დროს გარკვევით უნდა აღინიშნოს მუშაობის დადებითი და უარყოფი მხარეები, უნდა ფაქტებით, ციფრებით და მაგალითების მოყვანით დაამტკიცო, რომ მუშაობაც ნაწილში მართლაც თავის სიმაღლეზე სდგას, რომ მუშაობა მართლაც გამოსწორდა, როგორ და რა გზით გამოსწორდა მუშაობა და სხ.

მომავალში სამხედროებმა არ უნდა დაივიწყონ აქ აღნიშნული შენიშვნები.

მი.

## გამოასწორეთ ნაკლულოვანებანი

### მოგვეცით სასადილოში საჭირო ჭურჭლები.

მე 2 ცალკე მესანგრე ასეული.

ასეულის სასადილოში ცუდი მდგომარეობაა შექმნილი იმის გამო, რომ არა გვაქვს ჩაის სასმელი „კრუშკები“, რის გამო გვ ხდება ერთიმეორის ცდა და გვიგვიანდება მეცადინეობაზე გასვლა. არა გვაქვს აგრეთვე წყლის ქურქლები. ყოველი სადილობის დროს გარედ გვიხდება რბენა. არ არის სასადილოში სამარილეები. სასადილოს ოთახს არა აქვს მინები ფანჯრებში. არც განათების საქმეა მოწესრიგებული და სხვა. საჭიროა უზრუნველგვყონ ყველა ამით.

წით. არმ. მხურველი.

### მოგვიწყვეთ საყარაულო შენობა.

გარნიზონის კომენდანტის საყურადღებოთ.

მე-2 ლეგიონი.

ჩვენი გარნიზონის საყარაულოს შესახებ არა ერთხელ ყოფილა ცნობა ჩვენს გაზეთში, მაგრამ დღემდე არავინ იბერტყავს ყურს. საყარაულო შენობაში არა გვაქვს, გათბობა, განათება. ყარაულის უფროსებს ამის გამო თავის ფულით უხდებათ შეშის ყიდვა. არც გაზეთებს გვიგზავნიან საყარაულოში.

მოგვაქციეთ ყურადღება ვისაც ეს გეხებათ.

სამხედრი შიო აზიკუროვი.

## ახალი ამბები.

— ქონ-სამკითხველოებთან არსებულ სამხედრო კუთხეების მოსაწყობათ, ახლო ხანში ადგილებს დაეგზავნებათ შესაფერი სამხედრო ხასიათის წიგნები.

— გეოლოგიური ინსტიტუტი გაიხსნება ამ დღეებში სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

— შრომის პირობების შესწავლელ სამეცნიერო ლაბორატორიის დასაარსებლათ შრომის კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია.

— ტფილისის ყველა ტიპის სკოლებში მეცადინეობა განახლდება 11 იანვარს.

— გასულ წელს მთელ საქართველოში დამზადებულ იქნა 18.242 მელიას ტყავი.

— საქართველოში ქალაქების ქარხნის საჭიროებისათვის ყოველწლიურად საჭირო იქნება 2 ნახ. მილიონი კუბ.ფუტი საჭის ხე.

— საქართველოს საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა აჭარის საბინაო მშენებლობის კომიტეტს გადასცა 2 ათას 917 მანეთი.

ხელოვნება.

— ვეპხის ტყაოსანი. მარტის ბოლო რიცხვებში გამოვა „ვეპხის ტყაოსანი“ სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.

— მუსიკალური სკოლა სენაკში. ამ თვის ბოლო რიცხვებში გაიხსნება სამუსიკო სკოლა.

— წითელ არმიელთა კლუბებისათვის ახლო ხანში გამოვა სამხედრო პიესების კრებული.

— კინო-სტუდიაში. საქ.სახელმწიფო კინო-სტუდიაში ამ ჟამად ირიცხება 75 ქალ-ვაჟი.

## უცხოეთის არმიებში

**ახალი, სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზა პოლონეთში.**

გასულ ზაფხულს პოლონეთში შეუდგენ ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზის გაყვანას, პოდზამჩე-ვერონ-კალიეტის რაიონში. რკინის გზის ლიანდაგის სიგრძე აღწევს 70 ვერსამდე. გზა გაივლის გერმანიის სამხრეთ დასავლეთ სანაპირო საზღვარზე და ეკონომიური მნიშვნელობის გარდა მას ექნება დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც—ის უერთდება დანციგის რაიონის ქვანახშირიან რაიონებს. რკინის გზა გაყვანილი იქნა ამერიკიდან აღებულ ვალის საშვალებით. რკინის გზა დამთავრდება სავსებით 1926 წ. ივლისში. ამნაირად, პოლონეთი ძლიერ ფრთხილობს, მომზადებული შეხვდეს შესაძლებელ საშიშროებას.

**სახიდო მშენებლობა.**

ლატვიაში ეხლაც გრძელდება ძველი რკინის გზის ხიდების შეკეთება. ამ ჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ დასავლეთის დვინის (მდინარეა) რკინის გზის ხიდის აღსადგენად.

**იტალიური ჰიდროპლანების ბედი.**

ოქტომბერში იტალიის M-24-ეს სისტემის ჰიდროპლანები ეწვია ლენინგრადს, შემდეგ გადაფრინდენ დანცინგში, კოპენჰაგენში (დანიის დედაქალაქი) და ამსტერდამში (ჰოლანდიის დედაქალაქი), საიდანაც 5 ნოემბერს ეწვიენ ციურიხს (შვეიცარიის ქალაქი). მეორე დღეს ჰიდროპლანები აფრინდენ ციურიხიდან, რომ გადაფრენილიყვენ ალპის მთებით იტალიაში, მაგრამ ალპის მთებში მძვინვარე ქარბუქმა ისინი გადასტყორცნა სპლუგის (მთაა) მწვერვალზე და სრულიად დაიმსხვრენ. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

**ლატვიის არმიის მანევრები.**

ამას წინად ალაუსა და დასავლეთ დვინის რაიონში სწარმოებდა ლატვიის სამი მსროლელი ლეგიონის მანევრები. მანევრებს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ბოლშტეინი. რიგის ლეგიონს მიცემული ჰქონდა ამოცანა, რათა შეეკავებია ორი დანარჩენი ლეგიონების იერიში. მანევრებში მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე ცხენოსანი ნაწილებიც და მივლინებული იყვნ ამასთანავე ზოგიერთი ტეხნიკური ნაწილებიც. გზების ცუდი მდგომარეობა ძლიერ უშლიდა ხელს მანევრების წესიერად ჩატარებას. დაწვრილებითი ცნობები მანევრების შესახებ არ არის მიღებული.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**სხივოსანი ენერგიის გარდაქმნა ელექტრო ენერგიად.**

ლენინგრადიდან მიღებული ცნობით, რესპუბლიკის ზომა-წონის მთავარ პალატის თანამშრომელ ბოჟომ გამოიგონა ფოტო-ელემენტი ხელს წყო, რომლის საშვალებითაც მან ადვილად შესძლო სხივოსანი ენერგიის გარდაქმნა ელექტრო ენერგიით.

ამ ხელსაწყოს—ფოტო-ელემენტის გამოცდამ კარგი შედეგები მოიტანა. განზრახულია ამ აპარატის გადაცემა მცირე ნაკადის ელექტრო ტრესტში მისი მასიური დამზადებისათვის.

**არქეოლოგიური აღმოჩენა.**

ძველ გერაზში (ტრანს იორდანი—პალესტინა - იერუსალიმის მხარე) აღმოჩენილი იქნა მშვენივრად შენახული ძველი დიდებული—ბრწყინვალე სასახლის კოლონები, კიბეები და შადრევნები. ინგლისის არქეოლოგიური სკოლის დირექტორის აზრით იერუსალიმში, ამ კიბეებიდან უნდა იწყებოდეს დიდი მზის ტაძარში მიმავალი გზა.

## პასუხი შეკითხვებზე.

თ. იმერლიშვილს. გვაცნობეთ პარტიის წევრი ხართ თუ არა

ა. ფანცულაიას. საშუალო მეთაურზე უნდა ჩააბაროთ გამოცდები.

ქ. გძელიძეს. კადრიდან ტერნაწილში გადარიცხვა არ შეგიძლიათ.

შ. ლილუაშვილს. სამეცადინო წერტიდან ტერნაწილში გადარიცხვა თქვენს ძმას არ შეუძლია.

გიორგაძეს. მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

№—ს. ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

სეირანოვს. მიმართეთ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

ხაჩატუროვს. ცხენოსან ლეგიონში გადარიცხვა არ შეგიძლიათ.

ს. ტორიაშვილს. ექ. თანამშრომლებს ეკუთვნის საზამთრო შეუკერავი მატერია.

მახვეს. ჩექმები გეკუთვნით, მხოლოდ არა ხრომის.

მ. ვ. მიმართეთ აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას და თუ თქვენი ძმა თქვენს რჩენაზე იმყოფება, უნდა აღმოგიჩინოს დახმარება.

ე. ჭალისხეველს. გამოცდებზე სიარული შეგიძლიათ თქვენი უფროსის ნებართვით. მიმართეთ მას.

სამნიაშვილს. საოჯახო შეღავათების მოწმობები შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი ნაწილიდან.

ს. ა—ძეს. ვეტფერშლები ეკუთვნიან უმცროს მეთაურთა შემადგენლობას და არა საშუალოს.

სოც—სტს. თქვენი ზედმეტ მსახურათ დარჩენა ნაწილში დამოკიდებულია თქვენს უფროსზე. მიმართეთ მას.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ხუშტარას.** (3-მე ლ.) თქვენი კორესპონდენცია „დაგვიცავით გიგიენიდგან“ გამოდგება კედლის გაზეთისთვის.

**ამხ. ბურკას** (მეთ. სკოლა) თქვენი წერილი 1905 წ. რევოლიუციის შესახებ არ დაიბეჭდება, ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გუბისწყლის პირელს.** (ცხენ. ლეგ.) წერილი „საჭირო ყურადღება“ გაუშვი კედლის გაზეთში.

**ამხ. ს. ფრანგიშვილს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „7 დღე კომუჯრედის შესახებ ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. არ დაიბეჭდება.

**ამხ გ.** (მეთაურთა სკოლა) წერილი „ეს სენი უნდა მოისპოს“ არ დაიბეჭდება. საჭიროა მიუთითოთ კონკრეტიულ მაგალითებზე.

**ამხ. სილაგაძეს.** (პირვ. ლეგ.) თქვენი წერილი „არ გვეღირსა“ არ დაიბეჭდება. მიმართეთ სამნეო ნაწილის უფროსს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. გ. მეთ. სამ. სკოლის 1-ლი ასეულის პირველ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კ. პარტ. კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) გიორგი ასალოს ძე ფასეიშვილს (უპარტიო სოფ. ციხისფერდის მცხ.) 2) გიორგი ივანეს-ძე ნაირაშვილს (უპარტიო, სართ[illegible] რაიონის, სოფ. მარტყოფის მცხოვრები.) 3) ეკატერინე მკურნალი (ახკომკავშირის წევრი, ოზურგეთის მაზრიდან), 4) დიმიტრი ლევანის-ძე სიყმაშვილს—(ახკომკავშირის წევრი) 5) მალხაზი ილიას-ძე გოგიჩაიშვილს, (ახკომკავშირის წევრი ოზურგეთის მაზრიდან), და 6) ესტატე პავლეს-ძე საჯაიას (ახკომკავშირელი ზუგდიდის მაზრიდან).

კომუჯრედი სთხოვს ყველას თუ ვინმემ რაიმე იცის ზემო აღნიშნულ ამხ. შესახებ უარყოფითი, გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

ასეულის კომუჯრედი.

მე-3 ასეულის მე-5-ე ლეგ. 2-რე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომ.პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. გელენიძე ბაგრატ ერმილეს ძეს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ზემო აღნიშნული ამხანაგის მიღების შესახებ პარტიაში, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

კომუჯრედის მდ. ვ. ალავიძე.



## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც.

სამხედროსტამბა კეცხოველის ქ № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე